ცნობის ფურცელი

№ 2210 პარასკევი, 18 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2210

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ლოდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

მაკრინე როსტომის ასული მეჟევიძისა, პელაგია როსტომის ასული და ლევან იოსების ძე გოგნიევი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელის ძმისა, ხოლო უკანასკნელნი—ძვირფასის სიძისა

გიორგი გრიგოლის ძის მეჟევიძისას.

პანაშვიდი 18 ივლისს საღამოს 7 საათზედ მიხეილის საავადმყოფოში; გამოსვენება საავადმყოფოდან დილის 9 საათზედ 19 ივლისს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (2—124—1)

კნეინა დესპინე გრიგოლის ასული გელოვანისა და შვილნი მისნი თავ. **კონსტანტინე, პლატონ და ვარლამ ლევანის ძენი გელოვანები** გულითადს მადლობასა სწირავენ ყველას, ვინც პირადად, ან წერილობით ანუგეშა იგინი თავ. **ლევან ბოჯახსპირის ძის გელოვანის გარდაცვალების გამო.** (1—126—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ბრ. ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

რადგან ქალის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

1 ივლისიდან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება. (5—5)

მთავრობის განცხადება

„კავკაზ"-ში დაბეჭდილია:

„1903 წელს, 16 ივლისს, მე, ტფილისის გუბერნატორმა, კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ 1902 წელს 18 იანვარს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით, რომელიც წეს-რიგისა და მშვიდობიანობის დარღვევას შეეხება, დავადგინე: პოლიციის მოთხოვნილების შეუსრულებლობისა და ქუჩაში ყრილობების მოხდენისათვის დაპატიმრებულ იქმნენ:

სამის თვით:

I. მჭედლიძე დიმიტრი (დურგალი), 2. ეძგვერიძე ვიქტორ (ლაქია), 3. ეძგვერიძე ილიკო (ლაქია), 4. ბესელია ერასტი (ლაქია), 5. ქოიავა ლუკა (ლაქია), 6. დოლიძე სარდიონ (ლაქია), 7. ბაჯგუა ლევან (მარკერი), 8. ციმაკურიძე იოსებ (ლაქია), 9. სეჯაია ანდრია (ლაქია), 10, თოდუა ილარიონ (ლაქია), 11. ხალთასია გიორგი (ლაქია), 12. კოჩიაშვილი კონსტანტინე (ლაქია), 13. სარაჯაია ტარასი (ლაქია), 14. ედეგვერიძე გიორგი (ლაქია), 15 აბრამიანცი ესტატე (მხატვარი), 16. ავაქოვი ივანე (რძის გამყიდავი), 17. მართაშვილი ნიკოლოოზ (ნოქარი), 18. ალთუნაშვილი არტემ (ნოქარი), 19. შიშნიაშვილი ილია (ნოქარი), 20. პაპაშვილი სანდრო (ნოქარი), 21. ჯაგანაშვილი ივანე (დღიური მუშა), 22. იოანოვი ივანე (კალატოზი), 23. ციცაგია ილიკო (ხარაზი), 24. გოლოვაცკი გიორგი (ზეინკალი), 25. საურიშვილი ალექსანდრე (ქვის მთლელი), 26. ლოკიშვილი შაქრო (დურგალი), 27. ფრუიძე საბო (კონდუქტორი), 28. ნადირაძე გიორგი (ტრამვაის მეეტლე), 29. კუტუაშვილი ქიტესა (ტრამვაის მეეტლე), 30. სარბულაძე ერასტი (ტრამვაის მეეტლე), 31. შუაქიძე ნიკოლოოზ (ხარაზი), 32. საგარაძე ერმალოზ (ტრამვაის კონდუქტორი), 33. პარაპანაშვილი დავით (ტრამვაის მეეტლე).

ორის თვით:

1. კუპუხიძე ვიქტორ (პარიკ-მახერი), 2. სარქისოვი გეურქ (ხარაზი), 3. ხოსროშვილი აბრამ (წყლის მილზე მოსამსახურე), 4. მარიანოვი ივანე (დურგალი), 5. კოწიაშვილი გურგენ (დღიური მუშა), 6. ედიგაროვი გიორგი (დურგალი), 7. ნაცვლიშვილი სიკო (კალატოზი), 8. ბადალოვი დავით (დურგალი), 9. ზარიძე სოლომონ (ფეხის მკეთებელი), 10. ალნიაშვილი ივანე (დურგალი).

თვენახევრით:

1. ქაბუსინიძე ლუკა (ლაქია), 2. კალაძე მინა (მბეჭდავი), 3. შარაშენიძე გიორგი (ასოთ-ამწყობი), 4. ჩხაიძე ნიკო (ასოთ-ამწყობი), 5. ნუკრაძე გიორგი (დურგალი), 6. ჯიოშვილი გრიგოლ (ტრამვაიში მოსამსახურე), 7. მაისურაძე გიორგი (ზეინკალი), 8. კერესელიძე გალაქტიონი (ზეინკალი), 9. იაშვილი ვარლამ (წყლის მილზე მოსამსახურე), 10. კობიშალიძე სერგეი (ლაქია).

ერთის თვით:

1. შაიშმელაშვილი გიორგი (ნოქარი).

ორის კვირით:

1. ერაძე ალექსი (ლაქია), 2. გელენიძე როსტომ (ლაქია), 3. პეტროსოვი ჰაიკ (მბეჭდავი), 4. ბენდიაშვილი ვარლამ (ლაქია), 5. პერტენავა ანდრია (ლაქია).

დაპატიმრების ვადა ითვლება 14 ივლისის საღამოს 9 საათიდან.

—

„პრავიტელ. ვესტ."-ში დაბეჭდილია:

„უმაღლესის ბძანებით სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება სათანადო სამინისტროთა უწყებებს და გამგეობებს შემდეგის წესით უნდა გადაეცეს:

1) ყველა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებს, მონასტრებს, სასულიერო დაწესებულებათ და სასულიერო სასწავლებელთ, იმ ქონებათა გარდა, რომელნიც ქვემოთ იქნება ჩამოთვლილი, უნდა ჩამოერთვას დამტკიცებულის წესით სომეხ-გრეგორიანთა სასულიერო წოდებასა და დაწესებულებებს და გადაეცეს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს; დასახელებულ დაწესებულებათა თანხები უნდა გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს; ამასთანავე დაცულ უნდა იქნას სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის საკუთრების უფლება ამ ქონებისა და თანხების შესახებ.

2) მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო.-ქონებათა სამინისტროს უნდა გარდაეცეს სომეხ-გრიგორიანთა შემდეგი საეკკლესიო ქონება:

ა) სხვა-და-სხვა გვარი მიწები, დასახლებული და დაუსახლებელი, ტყეები, საძოვარი ადგილები, წისქვილები, თევზის საჭერი ადგილები და სხვა. არ გადაიცემის მხოლოდ ის ადგილები, სადაც აშენებულია ეკკლესიები, მონასტრები, სალოცავები და სხვა, აგრეთვე ის ადგილები, რომელზედაც ეპისკოპოსთა სახლებია და რომელიც უჭირავს სასულიერო დაწესებულებათ, საქალაქო და სასოფლო სამრევლო სამღვდელოებას და სასულიერო სასწავლებლებს; ადგილები, ეკკლესიებისა და სასაფლაოების გალავანში მოწყვდეული და სამოსახლო ადგილები, რომლებითაც სამღვდელონი სარგებლობენ,—ბაღები, ბოსტნები, სახნავი ადგილები და სხვა, ზომით არა უმეტეს სამის დესეტინისა ყოველ სამრევლო ეკკლესიასთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილები სხვებზე არ გადაუციათ შემოსავლის გულისთვის.

ბ). გარდაიცემის სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის, სამღვდელოების და სასულიერო დაწესებულებათა სახლები და შენობები, რომელნიც საჭირო არაა სამღვდელოთა საცხოვრებლად და სოოჯახოდ.

შენიშვნა: ზემოხსენებული წესები არ შეეხება პეტერბურგისა და მოსკოვის სომეხთა ეკკლესიების მამულებსა და თანხებს.

3) ზემოხსენებულ წესებს ექვემდებარება ყველა მამული და თანხა, რომელსაც შემდეგში შემოსწირავენ ან უანდერძებენ დასახელებულ დაწესებულებათ.

4) შემოსავალს ზემოხსენებულ მამულებიდან და თანხებს განაგებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხო რჯულთა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტი, რომელსაც მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა წარმოუდგინოს ანგარიში და შემოსავალი იმის უწყებაში მყოფ მამულებისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გარდასცემს იმ სასულიერო დაწესებულებათ, რომელთაც ჩამოერთმევათ მამულები და თანხები, შემოსავალს და ფულს, რომელიც შესდგება იმის გამგეობაში მყოფ თანხის სარგებლიდან, მხოლოდ შემდეგის ხარჯების გამოკლებით:

5) უძრავ ქონებათა შემოსავლიდან ყოველ წელს უნდა გამოაკლდეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით არა უმეტეს 10%-ისა ამ მამულების მართვა-გამგეობის ხარჯის დასაფარავად, აგრეთვე განსაკუთრებულ სათადარიგო თანხის შესადგენად არა ჩვეულებრივ ხარჯთათვის, მამულების გაუმჯობესებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოაკლდეს 5% სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის დამხმარებელ თანხის შესადგენად; ეს თანხა უნდა მოხმარდეს სომეხ-გრიგორიანთა საეკკლესიო დაწესებულებათა საჭიროებას და ამ ეკკლესიის გამგეობის საზოგადო მოთხოვნილებათ.

6) იმ შემთხვევაში, თუ რაიმე უკმაყოფილება მოხდა ან ეჭვი გაჩნდა და ვერ გამოირკვა—სამღვდელოების ქონება და თანხები მთავრობას უნდა გადასცეს თუ არა, საქმე გადასაწყვეტად შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიენდოს.

II. მიენდოს: 1. შინაგან საქმეთა მინისტრს: ა) შეიმუშაოს წესები იმისა, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის დამხმარე თანხიდან ფული; ეს წესები რომის კათოლიკეთა სამღვდელოების დამხმარე თანხის შესახებ არსებულ წესების მიხედვით უნდა იქმნას შედგენილი; მინისტრმა თავისი წინადადებანი უნდა წარადგინოს წესისამებრ; ბ) შეიმუშაოს წესები იმისა, თუ სასულიერო დაწესებულებებმა როგორ უნდა შეადგინონ ანგარიში იმ ფულისა, რომელიც სახარჯოდ გადაეცემათ. 2. მიწათ-მოქმედებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებით დაადგინონ: ა) წესები იმისა, თუ როგორ უნდა გადაეცეს ქონება და თანხები სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიებისა სამინისტროებს და ბ) წესები ამ ქონების მართვა-გამგეობისა.

და III. 1898 წ. 26 მარტს უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება ამ ნაირად შეიცვალოს:

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს მიენდოთ, ამ დებულების 1 მუხლის თანახმად, სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის მამულები სახელმწიფო-მმართველობაში მიიღონ, ერთმანეთთან შეთანხმებით აღწერონ ის მამულები და ქონება, რომლების შემოსავლითაც საერო განათლების სამინისტროსაგან ჩაბარებული სკოლები უნდა ინახებოდეს; ამას გარდა ა) აღწერონ ის მამულები, რომლებიც უსათუოდ უნდა დასტოვონ სასწავლებელთა შესანახად და ბ) დანარჩენ მამულების შემოსავლის დაგვარად გამოიანგარიშონ, რამდენი ფული უნდა გადასცენ ყოველ წელს საერო განათლების უწყებას ზემოხსენებულ სასწავლებელთა შესანახად.

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. 8 ივლისს დეპუტატთა პალატამ ირლანდიის საადგილ-მამულო ბილი მესამედ წაკითხვის შემდეგ დიდის ხმის უმეტესობით (317 20 წინააღმდეგ) დაამტკიცა. ყველა პარტიის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, დიდის თანაგრძნობით ვუყურებთ ირლანდიის სააგრარიო რეფორმასაო. ბილის დამტკიცების შემდეგ ირლანდიის პარტიის მეთაურმა ჯონ რედმონდმა გამოაცხადა: რაკი ირლანდიაში საადგილ-მამულო საქმე მოეწყობა, აღარაფერი დაბრკოლება აღარ იქნება, რომ ირლანდიას პოლიტიკური უფლებაც მიეცესო; თუ ირლანდიელებს სრული ეროვნული თვით-მმართველობა და საკუთარი პარლამენტი არ მიეცათ, მაინც უკმაყოფილონი იქნებიანო.

◆ დეპუტატთა პალატას ლონდონის სასკოლო ბილიც დაუმტკიცებია 228 ხმით 118 წინააღმდეგ.

◆ მართალია, მთავრობა თავის უმეტესობის შემწეობით, ამ სასკოლო ბილებს ამტკიცებს, მაგრამ ხალხი მაინც ცუდის თვალით უყურებს ამ რეფორმას და სასკოლო გადასახადს არ იხდის. ამას წინად ქალ. ბათში სასამართლომ 70 კაცის საქმე გაარჩია. ამ კაცებს სასკოლო გადასახადის მიცემაზე უარი გამოეცხადებინათ. ამათში ორიოდე სამღვდელო პირიც ერია; საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ სამის მღვდლის მაგიერ ვიღაცას შეეტანა სასკოლო გადასახადი, მღვდლებისათვის არც კი გაეგებინებინა. მღვდლებმა პროტესტი გამოაცხადეს და სასამართლოს მოსთხოვეს, გაგვაგებინეთ, ჩვენ მაგივრად ვის შეუტანია გადასახადიო, მაგრამ სასამართლომ მღვდლების მოთხოვნილება არ შეასრულა.

◆ მოძრაობა ჩემბერლენის პროტექციონისტულ პროექტის წინააღმდეგ თან-და-თან ძლიერდება.

ამას წინად თითონ ფინანსთა მინისტრმა რიჩიმ ჩემბერლენის პროექტის წინააღმდეგ სიტყვა წარმოსთქვა და თავისუფალ ვაჭრობას გამოესარჩლა. თავისუფალ ვაჭრობის მომხრეთა კავშირში 100-ზე მეტი პარლამენტის დეპუტატი ჩაეწერა. ამათ დიდი აგიტაცია გამართეს და ყველგან თხოულობენ, ინგლისის საფინანსო პოლიტიკა არ შეიცვალოსო. რაკი ფინანსთა მინისტრმა რიჩიმ ჩემბერლენის პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა, დეპუტატებს ეშინიანთ, ვაი თუ ინგლისის საფინანსო მდგომარეობის გამოკვლევის დროს, ფინანსთა სამინისტროს ცნობებით არ ისარგებლონო და ეს გამოკვლევა სულ მთლად ვაჭრობის სამინისტროს ცნო

ბეზზე დაამყარონო. დეპუტატი მაკლარენი ბალფურს შეეკითხა, გამოკვლევის დროს ფინანსთა სამინისტროს ცნობებით ისარგებლებთ თუ არაო. დეპუტატმა ჩანინგმა წინადადება შეიტანა, პარლამენტმა ეხლავე გაარჩიოს კოლონიების მინისტრის პროექტიო.

საფრანგეთი. დეპეშებიდან გეცოდინებათ, რომ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატთა **ჯგუფი** დესტურნელის მეთაურობით ლონდონში წავიდა. ამ დეპუტატებს აზრადა აქვთ ლონდონში ინგლისელ დეპუტატებს საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს დაწესებაზე მოელაპარაკონ. დესტურნელს უთქვამს:

„სამედიატორო სასამართლო ისეთი უებარი წამალი როდია, რომ ყველა იარები მოურჩინოს კაცობრიობას. არც ერთი გულწრფელი კაცი არ დასთანხმდება, რომ ყველა დავა, რაც კი ინგლისსა და საფრანგეთს აუტყდებათ, უსათუოდ სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს განსახილველად. ასე, მაგალითად, ეგვიპტის საქმის გადაწყვეტა მარტო დიპლომატიის საშუალებით შეიძლება; სამედიატორო სასამართლო ამ საქმეს ვერას უშველის. ჩვენი უმთავრესი საქმე ისაა, რომ **ჯარისა** და იარაღის ხარჯი შევამცირებინოთ ევროპას. ევროპამ უსათუოდ უნდა შეამოკლოს ეს ხარჯები, თუ უნდა, რომ მომავალ ეკონომიურ ომში გამარჯვებული გამოვიდეს.“

◆ მთავრობამ ქალების კონგრეგაციებს ბრძანება გაუგზავნა, თქვენი სკოლები 1 აგვისტომდე დახურეთო. ზოგიერთ სკოლას ბრძანებისათვის აღარ მოუცდია და წინადვე დახურულა. ამბობენ, კომბი დაიღალა და სამსახურიდან გადადგომას აპირებსო. მაგრამ, როგორც ეტყობა, კომბი ისევ მხნედ განაგრძობს თავის დიდებულ საქმეს და კონგრეგაციებსა და იმათ სასწავლებლებს მედგრად უღებს ბოლოს. თურმე კლერიკალები პარიზში დიდ მანიფესტაციის გამართვას აპირებენ მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ყველამ წინადვე იცის, რომ ამ მანიფესტაციით კლერიკალები ვერავის შეაშინებენ.

კომბი მარსელში მიდის და იქ დიდს პოლიტიკურს სიტყვას წარმოსთქვამს. მარსელელ კლერიკალებს გადაუწყვეტიათ, კომბს „კატის კონცერტი“ გავუმართოთ და ამით ჩვენი სიძულილი გამოვუცხადოთო. სამაგიეროთ მთავრობის მომხრე რადიკალები და სოციალისტები დიდის ამბით დაუხვდებიან თურმე პირველ მინისტრს; მარსელში კი რადიკალები და სოციალისტები დიდ უმეტესობას შეადგენენ.

იტალია. პაპის გარდაცვალება თითონ რომში იტალიელებს მაგრე რიგად არა სწყენიათ. რუსულ გაზეთებს სწერენ რომიდან: „რომმა გულ გრილად მოისმინა პაპის გარდაცვალების ამბავი. ხალხი არაფრით არ იჩენს თავის დარდს და საგანგებოდ გამოცემული გაზეთები რომ არ იყოს, ვერც კი მიხვდებით, თუ იქ ისეთი დიდი ისტორიული პირი გარდაცვალებულა, როგორიც იყო ლეონ XIII. ვატიკანის რომაელებს მაგრე რიგად როდი უყვარდათ განსვენებული პაპი. იტალიელებს კი ძლიერა სწყინდათ ყოველთვის, რომ პაპი ყოველთვის იტალიასა ჰმტრობდა“.

◆ პაპის ლეონ მე-XIII-ე გარდაცვალების შემდეგ კათოლიკე ეკკლესიის მმართველობა კარდინალ-კამერლინგის ორელიას ხელში გადავიდა. ორელიას სამი სხვა კარდინალიც ეხმარება: სერაფინო ვანუტელი, დი-პიეტრო და მაკი. თავდაპირველად ორელიამ უცხოეთის ელჩებს ვატიკანში და პაპის ელჩებს უცხოეთში ოფიციალურად შეატყობინა პაპის გარდაცვალების ამბავი. სტატს-სეკრეტარი კარდინალი რამპოლა იმავე დღეს სტატს-სეკრეტარის თანამდებობიდან გადადგა, რადგან უცხოეთის საქმეთა ხელმძღვანელი ეხლა თითონ კარდინალი ორელია იქნება. 8 ივლისს, დილით, კარდინალთა კოლეგიამ პირველი სხდომა გამართა. კოლეგიაში ამ ჟამად სულ 63 წევრია; ამათში 38 იტალიელია და 25 უცხოელი (8—საფრანგეთიდან, 5—ესპანიიდან, 5—ავსტრო-ჰუნგრეთიდან, 3—გერმანიიდან, 1—ბელგიიდან, 1—ირლანდიიდან, 1—ამერიკიდან და 1—ავსტრალიიდან. პაპის ასარჩევად, ალბად, ყველა კარდინალი შეიკრიბება, მარანისა (ავსტრალიიდან) და იქნება ლანჟენიეს (საფრანგეთიდან) გარდა, მაგრამ ამ ჟამად კარდინალთა უმეტესობა ჯერ არ მოსულა რომში და პირველ სხდომას მხოლოდ 28 კარდინალი დაესწრო. რადგან ლეონ მე-XIII-ს არჩევნის თაობაზე არაფერი განკარგულება არ მოუხდენია, ამიტომ კარდინალებმა გადასწყვიტეს, რომ არჩევნები ჩვეულებრივის წესით მოხდეს რომში. სხდომის შემდეგ კარდინალებმა მიიღეს ავსტრო-ჰუნგრეთისა, საფრანგეთისა და პორტუგალიის ელჩები, რომელთაც თავიანთ მთავრობის სახელით სამძიმარი გამოუცხადეს პაპის გარდაცვალების გამო.

◆ 9 ივლისს კარდინალები შეიკრიბნენ და ყველამ ფიცი მიიღო. ფიცის შემდეგ, ლეონ მე-XIII-ს პოლიტიკური ანდერძი გახსნეს და წაიკითხეს. ანდერძის უმთავრეს ამსრულებლად რამპოლა ყოფილა დანიშნული. ანდერძი ორის წლის წინად შეუდგენია განსვენებულ პაპს და საკუთარის ხელით დაუწერია. ამავე დროს პაპის კერძო ანდერძი გახსნეს; ამ ანდერძით პაპს მთელი თავისი ქონება ეკკლესიისათვის დაუტოვებია.

◆ რომიდან იწერებიან: პაპის არჩევანი 19 ივლისს დაიწყება. კარდინალები თან დათან იკრიბებიან. ხმა დადის, დიდ სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ, პაპის არჩევანში ნუ გავერევითო. თითონ კარდინალებსაც დაუდგენიათ: რაკი პაპს საერო ხელმწიფება აღარა აქვს, სახელმწიფოებსაც უფლება არა აქვთ პაპის არჩევანში რამენაირად გაერიონო, ამიტომ თუ რომელიმე დიდი სახელმწიფო რომელისამე კანდიდატის არჩევას არ დასთანხმდება, ყურადღებას ნუ მივაქცევთო.

საფრანგეთის პირველი მინისტრი კომბი იმ აზრისაა, რომ საფრანგეთის მთავრობა არ უნდა ერეოდეს პაპის არჩევანში, მაგრამ გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე-კი სხვა თვალით უყურებს საქმეს. დელკასემ კომბიც დაითანხმა და ეხლა საფრანგეთის მთავრობამ გააგებინა კარდინალების კრებას, ისეთი კაცი უნდა აირჩიოთ პაპად, რომ განსვენებულ ლეონ მე-XIII სავით მორიგებისა და შეთანხმების პოლიტიკას ადგესო, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრანგეთის რესპუბლიკასა და ვატიკანს შუა დიდი განხეთქილება მოხდებაო. მართალია, საფრანგეთი არც ერთის კანდიდატის წინააღმდეგი არაა, მაგრამ კარდინალებს მაინც გააგებინა, რომ საფრანგეთს ყველაზე ძლიერ რამპოლას არჩევა მოუვა ჭკუაშიო. პარიზის გაზეთების რომაელი კორესპონდენტებიც მომეტებულ ნაწილად რამპოლას კანდიდატურას ემხრობიან. პარიზიდან ცნობა მოვიდა, ფრანგი კარდინალები ყველანი რომში მიდიანო. ჰფიქრობენ, რომ ეს კარდინალებიც რამპოლას მხარეს დაიჭერენო.

ახალი ამბავი

◆ როგორც „კანონთა კრებულშია“ გამოქვეყნებული, უმაღლესმა მთავრობამ **გაძლიერებულ დაცვის წესება** ერთის წლით კიდევ დასტოვა, ქალ. ტფილისსა, ბათუმსა, ბაქოსა და ბაქოს მაზრაში.

◆ გუშინდელ ახალ ამბავს **ლაქიებისა და რესტორან-სასტუმროების** პატრონთა შეთანხმების შესახებ უნდა დავუმატოთ, ის რომ ლაქიებმა მოითხოვეს ჯამაგირის დანიშვნის გარდა სადილ-ვახშამი (ზოგგან არ ეძლეოდათ) ხეირიანი სადგომები და სხვა. ზოგგან სასტუმროსა და რესტორანის პატრონნი დღემდე ბეს ართმევდნენ ლაქიებს, ართმევდნენ აგრეთვე სხვა ფულსაც, რომელსაც შემდეგ დამტვრეულ ჭურჭელსა და მოპარულ ნივთებში უბრიდნენ. ლაქიებმა მოითხოვეს ბეს გაუქმება, ხოლო მოპარული და დამტვრეული ნივთები სანახევროდ უნდა ზღონ პატრონმა და ლაქიებმა. ყველა ეს პირობა რესტორანებისა და სასტუმროს პატრონებმა შეიწყნარეს. პირველად ვერ შეთანხმდნენ იმ ნისიას შესახებ, რომელიც მუშტრებზე რჩება. ხშირად შედიან რესტორანებში სხვა-და-სხვა ვაჟბატონები, სვამენ, სჭამენ და ფულს კი არ იხდიან, პირ იქით, ლაქიასაც სცემენ ხოლმე. რესტორანის პატრონებს (ზოგიერთებს) უნდოდათ, ასეთ მოვალეებს ფული ლაქიებმა გამოართვან და საზოგადოდ დანახარჯი ლაქიებზე ითვლებოდეს, მაგრამ ამ უკანასკნელთ არ შეიწყნარეს ეს მუხლი. შედგენილ პირობას უკვე მოაწერეს ხელი, მხოლოდ რესტორანის ორიოდე პატრონს არ მოუწერია ჯერ.

◆ დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა იმ დიდის ცეცხლის შესახებ, რომელმაც **ბაქოში 60-მდე ნავთის კოშკი იმსხვერპლა**. როგორც „კასპი“ გადმოგვცემს, ცეცხლი გაჩენილა 14 ივლისს, ღამის 11 საათზე რომანაში მირზოევის სამრეწველოში. ცეცხლი ერთსა და იმავე დროს ოთხ კოშკში გაჩენილა. ქარი სულ არ უბერავდა თურმე. როდესაც ცეცხლი თითქმის ჩამქრალა, ამოვარდნილა ქარი და ცეცხლი ახლო ნობელის კოშკებს მოსდებია. დამწვარა 4 კოშკი და ნავთის ორი აუზი. დილის 4 საათზე ალი მოსდებია კასპიის ამხანაგობისა, თუმაევისა, მიკირტუმოვის და სხვათა ნავთის კოშკებს. ნაშუადღევის პირველ საათისთვის ცეცხლი თითქმის ხელ-ახლა ჩამქრალა; მაგრამ არ გასულა დიდი დრო, რომ 15 კოშკი ერთად აპრიალებულა. სამრეწველო ადგილებში, სადაც ცეცხლი მძვინვარებდა, არც წყალი აღმოჩნდა თურმე და არც საქრობი მანქანები. ყველა ეს რომ ყოფილიყო კიდეც, საქმეს არაფერი ეშველებოდა, რადგან იქ არც ერთი კაცი არ მოიპოვებოდა.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ **ფოთის ხაზინის გამძარცველნი** სამხედრო სამართალში მისცეს. საქმე ფოთში გაირჩევა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს სესსიის მიერ. ბრალი ედება შვიდ კაცს. აი იმათი გვარები: დომენტი კვაჭაძე, ხარლამპი კავსარაძე, ნიკოლოზ გუჯაბიძე, ისიდორე მახარაძე, თავ. ალექსანდრე მაჭუტაძე, ანტონ ჩხარტიშვილი, გრიგოლ ჩხარტიშვილი და კოწია ჭელიძე.

◆ **მეჟღვიძის მკვლელობის** ამბავში, რომელიც გუშინა გვქონდა დაბეჭდილი, შეცდომები შეგვეპარა. როგორც ვწერდით, რესტორანში სავახშმოდ შესულან და ღამის 2 საათამდე იქ დარჩენილან თავ. რევაზ ყარალაშვილი, თავ. დ. ნ. ყარალაშვილი, თავ. ზაქარია მ. რუსიშვილი, ივლიანე ა. ქავთარაძე და მოკლული გიორგი მეჟღვიძე. ლაპარაკი მეჟღვიძესთან დანარჩენებს შიგ რესტორანში მოსვლიათ როდესაც ქუჩაში გამოსულან, სასტუმროში წინდაწინ ასულ მეჟღვიძეს ტანისამოსი გამოუცვლია, რევოლვერი წამოუღია თან და სროლა დაუწყია. სუ ხუთჯერ დაუცლია რევოლვერი. ერთ ტყვიას რევაზ ყარალაშვილისთვის ნიკაპი გაუკაწრავს, მეორე იმასვე მოჰხვედრია მარცხენა ხელში, მესამე ტყვია მოჰხვედრია ი. ქავთარაძეს მუცელ ქვემოდ, საზარდულში. ორი დანარჩენი ტყვია არავის არ მოჰხვედრია. ამ დროს თავ. რ. ყარალიშვილსაც ამოუღია რევოლვერი, სამჯერ დაუპირებია გასროლა, მაგრამ არც ერთხელ არ გავარდნილა, რადგან ჩახმახი დაჟანგებული ყოფილა. მაშინ უძვრია ხანჯალი, მიჰვარდნია მეჟღვიძეს და სასიკვდილოდ დაუჭრია მუცელში. სამივე დაჭრილი საავადმყოფოში წაუყვანიათ. მეჟღვიძე, როგორც ვწერდით, უკვე გარდაიცვალა, ქავთარაძის ჭრილობა, როგორც ამბობენ, საშიშოა, ხოლო თავ. ყარალაშვილის ჭრილობა მსუბუქია.

◆ „ტიფ. ლისტ.“-ს ატყობინებენ: „15 ივლისს, დილის 9 საათზე, **სოფ. ტაბახმელის გლეხებმა** რიცხვით 60 კაცმა, ასჩეხეს საშეშოდ მირზოევის ტყე. ეს ტყე ტაბახმელიდან სამის ვერსის მანძილზეა. გლეხები ტყიდან განდევნა სამოლიციო ნაწილის გამგემ კოჯორში მარგაევსკიმ. გლეხებს დაემზადებინათ 3—4 საჟ. შეშა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამიერ-კავკასიაში ამ ზაფხულს ექიმთა ექსპედიცია მოდის **მალარიის გამოსაკვლევად**. ამ სენთან საბრძოლველად, სხვათა შორის, ჰფიქრობენ- იმ სადგურებზე მოსამსახურეებს, რომელიც ექიმთა გამოკვლევით საშიში აღმოჩნდება სამალიარიო კოღოს სიმრავლით, პირზე ასაფარებლად განსაკუთრებული ბადეები დაურიგონ.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა **ტფილისის საჯარო წიგნთ-საცავის** დირექციის წინაშე იმის შესახებ, რომ წიგნთ-საცავი იღებოდეს დილის 9-დან 2-მდე და საღამოთი 5-დან 8 საათამდე. ქალაქი ამ წიგნთ-საცავს წელიწადში აძლევს 1030 მანეთს. ეხლა დირექციას შეუთვლია, გავაღებთ აღნიშნულ დროს წიგნთ-საცავს, თუ 500 მანეთს კიდევ მოგვიმატებთ ახალ მოსამსახურეთა დასაჭერად, ელექტრონის განათების მოსაწყობად და სხვა საჭიროებისთვისაო.

◆ ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ განიხილა მოხსენება იმ კომისიის თავმჯდომარისა, რომელსაც დავალებული აქვს უძრავ მამულებზე **სახელმწიფო და საერო** გარდასახადის გაწერა. კომისიის მოხსენება შეეხებოდა ტფილისის უძრავ მამულებზე აღნიშნულ გარდასახადების გაწერას. საგუბერნიო გამგეობის აპრილში მომხდარ დადგენილების ძალით, ტფილისის უძრავ მამულებისთვის სახელმწიფო გარდასახადი უნდა გაეწერათ—122,814 მანეთი, საერობო გარდასახადი—122,814 მან. განსაკუთრებულ კომისიის განაწილებით-კი ქალაქ ტფილისს სახელმწიფო გარდასახადი შეჰხვდა 123,150 მან. 62 კაპ., საერობო 123,149 მან. 78 კაპ. ამას გარდა, კომისიის ანგარიშით, უნდა გაეწეროს კიდევ 3300 მან. ეს ფული გადადებულია გარდასახადის გამწერ კომისიის შესანახად და ქალაქის გამგეობის სახარჯოდ ამ ფულის გარდახდევინების დროს. საგუბერნიო გამგეობამ გადაათვალიერა საბუთები და დარწმუნდა, რომ განსაკუთრებულ კომისიას სწორედ გაუწერია გადასახადი, ამიტომ დაამტკიცა კომისიის მოხსენება. საგუბერნიო გამგეობის ეს დადგენილება გუშინ, 17 ივლისს, ეცნობა ქალაქის მოურავს.

◆ თავის დროზედ გვქონდა აღნიშნული, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ 215-ათასი მან. გადასდო **წყლის მილის გასაფართოვებლად**. საბჭომ დაადგინა აგრეთვე, რომ ფილტრების მოსაწყობად გადაიდოს ეხლავე 20,000 მან., ხოლო 30,000 მან. შეტანილ იქმნას მომავალ 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. გამგეობის წევრმა ენფიანჯიანცმა მოაგონა გამგეობას ეს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ საჭიროა გამგეობა ეხლავე შეუდგეს ზრუნვას ამ დადგენილების განსახორციელებლად, რადგან ქალაქს წყალი შეიძლება შემოაკლდესო. ამისათვის ენფიანჯიანცის აზრით, ეხლავე საჭიროა გამგეობა სატეხნიკო საქმეს შეუდგეს. რადგან საკმაო შტატი ტეხნიკოსებისა არა გვყავს, კარგი იქნება მოვიწვიოთ ტეხნიკოსი ავაქიანციო. გამგეობამ მიიღო ენფიანჯიანცის მოხსენება და მიანდო იმას საჭიროების და მიხედვით წყლის მილის გასაუმჯობესებლად გადადებულ თანხიდან ჰპარჯოს ფული და მოიწვიოს ტეხნიკოსი თვეში 60 მანეთად

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით, ამიერ-კავკასიაში დაიწყეს მუშაობა სამინისტროს მიერ გამოგზავნილმა კაცებმა, რომელნიც ერთი სოფლიდან მეორეში გადადიან და ხალხს პრაქტიკულად ასწავლიან **ერბოს, კარაქისა და ნაღების** კეთებას. ერთი თვე იქნება, რაც ეს წრე მუშაობს. მუშაობა დაუწყია სოფელ დიდ კარაკლისში. გამგეს ა. ა. ქალანთარს პირველი ლექცია წაუკითხავს 22 ივნისს. დასწრებიან გლეხნი. შემდეგ სეპარატორით უმუშავნია სამის კვირის განმავლობაში და მერე გამგზავრებულა სხვა ადგილებში

◆ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს, როგორც „ნოვ. ობ.“-ს შეუტყვია, შუამდგომლობა აღუძრავს სამოსწავლო ოლქის წინაშე **ჭიათურაში საქალაქო სასწავლებლის** დაარსების შესახებ. სასწავლებელში სატეხნიკო განყოფილებაც უნდა იყოს.

◆ კავკასიის **სამკურნალო საზოგადოება** ძალიან შევიწროვებულია იმის გამო, რომ საკუთარი სადგომი არა აქვს. საზოგადოება კარგა ხანია შეუდგა ზრუნვას საკუთარ სახლის ასაგებად. გამგეობის გამოანგარიშებით, საზოგადოებას დასჭირდება ორ-სართულიანი სახლი სიგრძით 22 არშინი და სიგანით 11 არშინი. საზოგადოებას აზრადა აქვს საკუთარი სახლი აავოს ალექსანდრეს ბაღის იმ მხარეს, სადაც გადაწყვეტილია პუშკინის სახელობის წიგნთ-საცავის გაკეთება. გუშინ საზოგადოების თავმჯდომარემ სთხოვა ქალაქის მოურავს უშუამდგომლოს თვით-მართველობის წინაშე, რომ ქალაქმა ან უსასყიდლოდ ან იჯარით, რაც შეიძლება შეღავათიანის პირობით, დაუთმოს საზოგადოებას ადგილი სახლის ასაგებათ.

◆ როგორც გვატყობინებენ, 20 ივლისს **ტფილისში ჩამოვა** საიმპერატორო თეატრის არტისტი ფიგნერი. ფიგნერი დაათვალიერებს სახაზინო თეატრს, რომელიც, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, იჯარით აიღო ფიგნერმა მომავალ სეზონისთვის.

◆ როგორც ქუთაისიდან „ნოვ. ობ.“-ს ატყობინებენ, შინაგან საქმეთა მინისტრს

შეუძლებლად უცვნია ხელმწიფე-იმპერატორისთვის წარედგინა დასამტკიცებლად ქუთაისის თავად-აზნაურთა კრების მიერ **გუბერნიის მარშლის თანამდებობაზე** კანდიდატებად არჩეულნი. მიზეზად იმას სთვლიან, რომ არჩევნები წესიერად ვერ მოხდა და, ამას გარდა, მეორე კანდიდატი კრების შეწყვეტის შემდეგ აარჩიესო.

◆ ამ ცოტა ხანში ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე რ. ღ. მაჭავარიანი ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილას მიდის **სანიტარულის მხრით დასათვალიერებლად.**

◆ 12 ივლისს ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის სადგომში მოხდა დამატებითი **ვაჭრობა** იმ მამულების გასასყიდად, რომელიც გაუყიდველი დარჩა ივნისის შუა რიცხვებში მომხდარ საჯარო ვაჭრობის დროს. 20 მამულიდან ამ დღეს ექვსი გაიყიდა და 14 ბანკს დარჩა. გაყიდულ მამულებზე თავნი ვალი ბანკისა ყოფილა სულ 31,546 მან. 8 კაპ., დარჩენილი გარდასახადი 1226 მან. 4 კაპ. ხოლო გაიყიდა 34,660 მანეთად. ბანკზე დარჩენილ მამულებზე თავნი ვალია 273,541 მან. 22 კაპ. ხოლო დარჩენილი გარდასახადი 11,149 მან. 12 კაპ. გაყიდულ მამულებიდან 4 ქართველისაა, 1 სომხისა და 1 რუსისა. ბანკზე დარჩენილ მამულიდან 5 ქართველისაა, 7 სომხისა 1 რუსისა და 1 თათრისა.

◆ **1 აგვისტოსათვის ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება განაღდება ტფილისის მესამე საობლიგაციო სესხიდან 9100 მანეთის ობლიგაციებისა. აქედან 8 ობლიგაცია ათას მანეთიანია, ხოლო 11 ობლიგაცია ას მანეთიანი.**

◆ **ტფილისის კადეტთა კორპუსში წელს მისაღები ეგზამენები დაიწყება 27 აგვისტოს და გასტანს სამს დღეს.**

◆ ამიერ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის თანაშემწე ბ-ნი კოჟინი 15 ივლისს ერევნის გუბერნიაში გაემგზავრა სამსახურის საქმეებისა გამო.

◆ 13 ივლისს, $6^{1}/_{2}$ საათზე საბურთალოს ქვემოდ, ბორანის მახლობლად მტკვარში დაიხრჩო 19 წლის ყმაწვილი კაცი სიღნაღის მაზრის სოფელ თამაკონის მცხოვრები, გლეხი მიხეილ ივანეს ძე ოყუჯავა. ოყუჯავა მსახურებდა შეშით მოვაჭრე რაჟდენ ჯაფარიძესთან შეშის საწყობში; საწყობის პატრონს ცხენი გაუტანებია მტკვარში საბანაოდ, რომლის დროსაც ცხენს გადაუგდია და შიგ შუა მდინარეში ჩამხრჩვალა. იქვე მდგომი მცურავები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერა უშველეს-რა. გვამის ძებნას შეუდგნენ, მაგრამ ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ **ქ. ხარკოვში 1 ივლისიდან დაიწყო მოქმედება ქუჩაში წიგნებით მოვაჭრე ამხანაგობამ. ამხანაგობას მიზნად აქვს ცენზურისაგან ნება დართული გამოცემანი გაავრცელოს ხალხში ქუჩებში დატარებით, გახსნას წიგნის მაღაზიები და კიოსკები.**

◆ **ქ. ოდესაში 29 ივნისს ქუჩაში უპოვიათ გიდეგ უგონობო ქალის გვამი და ანატომიურ თეატრში გაუგზავნიათ გასაჭრელად. იქ ფელდშერს ბრძანება მიეცა მოსამსახურისთვის, ცხედარი გასაჭრელად მოემზადებინა. გვამს ტანისამოსი გახადეს და ფელდშერმა წესდებისამებრ ხელი შეახო ქალის გვამს და ძრიელ გაიკვირვა, რადგან იგრძნო, რომ ფეხები ჯერ კიდევ თბილი ჰქონდა. დააკვირდა გვამს და შეამჩნია, რომ ხელისა და ფეხის თითები ოდნავ მოძრაობდნენ. ფელდშერი დარწმუნდა, რომ ქალი ცოცხალი იყო, გასინჯა და აღმოაჩინა, რომ მაჯაც სუსტად უცემდა. ფელდშერმა მაშინათვე უთვალავი საშუალება იხმარა ქალის მოსასულიერებლად, პირზე და თავზე ცივი წყალი გადაასხა. ერთი საათის შემდეგ საცოდავი ქალი შეინძრა, თვალები გაახილა, წამოჯდა და რადგან დაინახა თავის გარშემო მაგიდებზე დაწყობილი მკვდრები, ფეხზე წამოხტა და გაქცევა დააპირა. მაგრამ ძალ-ღონემ უმტყუნა საბრალოს და მიწაზე დაეცემოდა, ფელდშერი რომ არ მიეშველებოდა. მალე შეიტყეს ამ ქალის ვინაობა. მისი სახელი და გვარი ბარბარე დიმინდია. მან უამბო ექიმს, მოედანზე სეირნობის დროს თავბრუ დამესხა, ცნობა დამეკარგა და მას შემდეგ არაფერი მახსოვსო. ამ ნაირად შემთხვევით კინაღამ გასჭრეს ცოცხალი ქალი. ამ ამბავში საოცარი ის არის, რომ საბრალო ქალი სადმე სხვა ოთახში არ გაიტანეს მოსასულიერებლად. ცნობაში მოიყვანეს და კინაღამ შიშით არ მოჰკლეს მიხვედრილმა მოსამსახურეებმა.**

◆ **უმავთულო ტელეგრაფის საქმე თანდათან ვითარდება. გამართულია უმავთულო ტელეგრაფი ქ. პეტერბურგსა და ქ. ნარვას შუა. ამ მოკლე ხანში გამართავენ ამგვარ ტელეგრაფს ქ. პეტერბურგსა და რეველს შუა.**

ვითომ კამათი

სოციალურ კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა „ცნობის ფურცელს" არასოდეს არ უარ-უყვია, არასოდეს არ უთქვამს, რომ ყველა კლასებს შეუძლია იხელმძღვანელოს „საერთო სამოქმედო პროგამით"; ამიტომ სრულებით უადგილოა ბ. რ. ა.—ს შენიშვნა—„ყველანი ძველის წეს-წყობილების წინააღმდეგ მოქმედობენ, მაგრამ არა როგორც გაერთიანებული პარტია, არამედ თვითეული მათგანი წარმოადგენს სრულიად განსაკუთრებულ დამოუკიდებელ პარტიას. საერთო მოწინააღმდეგებთან ბრძოლა სრულიად არ აქრობს მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობას და ამ წინააღმდეგობისაგან გამოწვეულ კლასიურ ბრძოლას". ერთი გვიჩვენოს ჩვენმა მოკამათემ, სად იყო, რომ „ცნობის ფურცელი" „გაერთიანებულ პარტია"-ზე ლაპარაკობდა, როდის ვსთქვით, რომ „საერთო მოწინააღმდეგებთან ბრძოლა აქრობს მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობას"-თქო. არა გვგონია, რომ მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს „კვალი"-ს ასეთმა პოლემიკამ.

ჩვენ მხოლოდ ის გვქონდა ნათქვამი, რომ „ჩვენში შესაძლებელი ყოფილა საერთო სამოქმედო ასპარეზის მოძებნა". არ გვეგულება ისეთი შეუგნებელი მკითხველი, რომელსაც შეეძლოს „საერთო სამოქმედო ასპარეზის მოძებნა" მიიღოს „საერთო სამოქმედო პროგრამით ხელმძღვანელობად", და თუ ამას სჩადის ბ. რ. ა., ეს მოსდის მას ან სრულის გაუგებრობით და ან იმიტომ, რომ სიყალბის ჩადენას კისრულობს.

მართლაც, ვინ არის დღეს ისეთი, რომ არ იცოდეს პარტიათა ბრძოლა, მათ პროგრამების სხვა-და-სხვაობა და ამ პროგრამების გაერთიანების შეუძლებლობა! მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამ პარტიებს არ შეეძლოთ შემთხვევის დროს საერთო სამოქმედო ასპარეზის მოძებნა და თანხმობით მოქმედება ამ ასპარეზზე. გაერთიანება სულ სხვაა და თანხმობით მოქმედება განსაზღვრულ პირობებში—სულ სხვა. ნუ თუ ასე ძნელი გასაგებია ეს მარტივი აზრი?

ეორისის პარტიის სახელმძღვანელო პროგრამა სხვაა და რადიკალების პროგრამა—სხვა. მიუხედავათ ამისა, ორივე პარტია კარგა ხანია თანხმობით მოქმედებს საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ რომელი ჭკუათა მყოფელი იტყვის, რომ ორივე პარტია გაერთდა, ორივეს ერთი და იგივე სახელმძღვანელო პროგრამა აქვსო. ბებელი და ბარტი თავგამოდებული ებრძოდნენ რეიხსტაგში პურის ჩარჩებს, თუმცა მათი სახელმძღვანელო პროგრამები ისე შორს არიან ერთმანერთისაგან, როგორც ცა დედა-მიწისაგან. გერმანიის მთავრობამ თუ გაჰბედა და, რეაქციონერების სურვილის თანახმად, საყოველთაო საარჩევნო უფლებას შეეხო, კიდევ უფრო მეტი პარტიები შეთანხმდებიან და საერთო მტერს გაუმკლავდებიან. ხალხის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტი, როცა ყველა პარტიები დროებით ერთმანერთს ხელს აძლევენ. ვსთქვათ რუსეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას და ჯარები გადაიყვანა საზღვარზე; სოციალ-დემოკრატი და აგრარი ხელი-ხელმიცემული წავლენ შემოსეულ მტრის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მათ სახელმძღვანელო პროგრამებს საერთო არა აქვთ-რა.

მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა „ბურჟუაზიულ ფრაქციათა და სოციალ-დემოკრატთა პარტიის საერთო სამოქმედო ასპარეზის მოძებნა, ასეთი ასპარეზი არსებობს და, მაშასადამე, მისი მოძებნაც შეიძლება". თუ ამის თქმა შეიძლება ევროპის დაწინაურებულ სახელმწიფოების შესახებ, მით უფრო მართალია ეს შეხედულება ჩვენი ცხოვრების შესახებ, სადაც ხალხი მოკლებულია სულ უბრალო ელემენტარულ პირობებს...

მართალია ბ. ყვირილელი, როცა იგი ხედავს ჩვენ ცხოვრებაში საერთო სამოქმედო ასპარეზს, და ყვირილელის ეს შეხედულება წინააღმდეგია „კვალი"-ს საზღვარ-გარეთის შემდგენელის აზრისა, რომელიც კატეგორიულად ამბობს—შეუძლებელია შეურიგებლის მორიგება, შეუთანხმებელის შეთანხმება," ე. ი. ბურჟუაზიულ ფრაქციათა და სოციალ-დემოკრატთა პარტიის საერთო ასპარეზის ძებნა. ასეთი ასპარეზი არ არსებობს და მაშასადამე, მისი არც მოძებნა შეიძლება".

ბ. რ. ა. გვეუბნება— ყვირილელის აზრი იგივეა, რაც საზღვარ-გარედ შემდგენელისაო. „ამასვე ამბობდა ბ. ყვირილელი, რომლის წერილიდან ისე უთავბოლოთ არის ამოგლეჯილი ერთი ადგილი ვითომდა ასეთ აზრის წინააღმდეგი. ავტორი, როცა ამბობს მუშათა და ბურჟუაზიულ პარტიათა საზოგადო ინტერესებზე, თან დასძენს, „რამდენათაც ეს უკანასკნელები ეწინააღმდეგებიან ფეოდალურ წყობილების ნაშთებს", (ეს „დაძენა" ჩვენც გვქონდა მოყვანილი) ე. ი. მათთვის, როგორც ახალ კაპიტალისტურ წყობილების საზოგადოებრივ კლასთათვის, თანასწორად სასურველია ძველი საზოგადოებრივ წყობილების დანგრევაო. და აი ამ პროცესში ჰეგემონია უჭირავს მშრომელთა კლასს, როგორც ყველა სხვა კლასებზე უფრო შეგნებულ და მოძრავ ელემენტს. „მის გვერდით თავს იყრის და გროვდება, ამბობს იქვე ყვირილელი, ყველა მოწინავე ჯგუფები". ეს სიტყვები რატომღაც გამოუტოვებია „ცნ. ფურც." შენიშვნის ავტორს, თუმცა მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ... მაგრამ... მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სიტყვები უარყოფენ სწორედ იმას, რასაც „ცნ. ფურც". აწერს „კვალს". აქ გარკვევით სწერია, სხვა ჯგუფები მის გარშემო იყრიან თავს და არ ერთდებიანო, ე. ი. ერთ სამოქმედო პროგრამით ხელმძღვანელობაზე სიტყვაც არაა დაძრული".

რომელ ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს ეწინააღმდეგება ყვირილელის წერილის ეს ადგილი, რომელიც ბ. რ. ა.-ის აზრით, ჩვენ განზრახ გამოგვიტოვებია? სად გვქონდა ჩვენ ნათქვამი, რომ პარტიები ერთდებიან და ერთ სამოქმედო პროგრამით ხელმძღვანელობენო? რ. ა—ს მდიდარი ფანტაზია უნდა ჰქონდეს, თორემ ჩვენ შენიშვნაში სიტყვაც არ არის დაძრული პარტიათა გაერთიანებაზე და საერთო სახელმძღვანელო პროგრამაზე. მაშასადამე, არც ყვირილელის წერილის მოყვანილ ადგილის გამოტოვება ჩაგვეთვლება ცოდვათ, რადგან იგი სრულებით არ ეწინააღმდეგება იმას, რასაც ვამბობდით. №

ქიზიყის ცხოვრება

სიჩუმე.—ბანქობანას გავრცელება.—გლეხის შრომა.—უამინდობა და სეტყვა.—ზარბაზნებია საჭირო.—ახალი მარშალი.—სამხედრო საკრებულო და აბლაკატები.

გაჩუმდნენ კორესპონდენტები და აღარა ისმის-რა ქიზიყიდან, თითქოს ქიზიყი აღარ არსებობდეს დედა-მიწის ზურგზე. არა, ქიზიყი ქიზიყობს, ბევრი რამეცა ხდება საყურადღებო და ისეთი, რასაც სხვაგან ალაგი არ ექნება, მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ ამათ ასანუსხავად თავს არავინ იცხელებს. შეიძლება ამისი მიზეზი ისიც იყოს, რომ მთელი ქიზიყი „ბანქობანამ" შეიპყრო.

მართლაცა და, ძალიან მოდაში შემოვიდა ეს წყეული ბანქობანა ქიზიყის სოფლებში. იმის დედა ქალაქ სიღნაღში ხომ ორ გროშიანი მოხელენიც კი მარტო „ტუზკაროლ, დამა-ვალეტზე"-ღა მასლაათობენ. იმ დაწესებულებაშიაც-კი, სადაც პურის ფულს ძლივს იღებენ მოხელენი და იმათის ჩივილით ყველას ყურები აქვს გამოჭედილი, საბანქოოდ დროსა და ფულს კიდევ პოულობენ. რა ჰოვნა, მომეტებულ დროს და საუკეთესოსაც ბანქოს თამაშსა და იმაზე ბაასს ანდომებენ.

ამასვე ვერ ვიტყვით გლეხობაზე. გლეხნი ბევრსა მუშაობენ, ნამეტნავად გაზაფხულსა და ზაფხულში, მაგრამ ბევრს ვერას იძენენ მამა-პაპურ, ძველებურ იარაღის მეოხებით. წელებზე ფეხს იდგამენ გლეხები, დღეში 17—18 საათს მუშაობენ, მშიერ მწყურვალნი და მერე რითი ფასდება ასეთი შრომა? იმითი, რომ, მეტი თუ არა, ექვსი თვე მაინც მშიერი უნდა იაროს, თუ არ უნდა, რომ დანაკლისი ვაი-ნაჩრობით გარეშე სამუშაოთი შეივსოს. ვინ არა ჰბრიყვობს გლეხს? მაგრამ ამ ხელად ყველას თავს დავანებებთ და მარტო ბუნებას გავიხსენებთ.

ზამთარი ხომ წყეული, სუსხიანი და ცივი იყო, რომელმაც საქონელი შეაწუხა, დაახარალა, ბალახი არ ამოუშვა და ნათესობაც მოუშვა. გაზაფხული და ზაფხულიც წოტიო და წვიმიანი მოჰყვა. ხშირი წვიმები თავს აბეზრებდა ქიზიყს და მუშაობას უფერხებდა. ჯერ ისევ ბალახის თიბვაში გაათახსირა ხალხი: გათიბული თივა აუბობა და დაულპო. მერე მკა შეაფერხა და მომკილი დაუსველა და დაულპო და ახლა ხომ გალეწას უშლის და საძალდ-ღორედ უხდის კარზე მოტანილ სარჩოს. ბევრგან დაჟინებულმა წვიმებმა კალოში შეტანილი ძნა აამჯეჯილა კიდევაც. თუ ასე გასტანა ამ მკათათვემაც, მაშინ ხომ სულ ხელ-ცარიელს დასვამს ქიზიყს ხორბლის მოსავლისაგან.

რაც წვიმამ დააკლო, ის პირველ მკათათვეს მოსულმა სეტყვამ დაამთავრა. კიდევ კარგი, რომ ყველა სოფელს არ ესტუმრა ეს დაუპატიჟებელი და საზიზღარი სტუმარი, მაგრამ საცა-კი დაჰკრა, ჰირნახული სულ მიწასთან გაასწორა. სეტყვამ დააზარალა საქობო, ასანური და ბოდბისხევი. ისეთი დიდი სეტყვა მოვიდა, რომ ფოთოლი აღარა შეარჩინა. კარდანახსა და ანაგასაც უპირებდა დასეტყვას, მაგრამ სტუმართ-მოყვარე ქიზიყელებმა ამ ჟამად უგულობა გამოიჩინეს თურმე: ზარბაზნებით მიეგებნენ და ისეთი სროლა და აურზაური ასტეხეს, რომ კაცს ალა-მაჰმადხანის შემოსევას მოაგონებდა. მართალია, ბევრი ტყვია წამალი დაიხარჯა, მაგრამ სეტყვა განდევნეს და თავიანთი მარჩენელი და მათრობელი ნუნუა გადაარჩინეს. იქნება ამ გარემოებამ მაინც აუხილოს თვალი ქიზიყის სხვა სოფლებს და ამათაც აფიქრებინოს ზარბაზნების მოპოება. ზარბაზანი კახელებისთვის ეხლა ისეთივე საჭირო შეიქნა, როგორიც იყო ტალკვესა თოფები და კუდა ხმლები ლეკიანობის დროს.

ქიზიყელებს ახალი მარშალი დაენიშნათ—თავ. დ. ჩოლოყაშვილი, თელავის მაზრაში მარშლად ნამყოფი. ამ მარშალს კიდევ, როგორც გავიგეთ, თელავის მაზრის სამხედრო საბეგრო საკრებულოს მდივანი გადმოჰყავს სიღნაღის მაზრის სამხედრო საბეგრო საკრებულოში. საერთოდ სიღნაღის მაზრის მარშლები იშვიათად სცხოვრობდნენ ხოლმე მაზრაში და ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევდნენ სამხედრო საკრებულოს, თუმცა ისეთი უმნიშვნელო არ არის ეს დაწესებულება ხალხისათვის. ვისურვებთ ამ ახალმა პირებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ დაწესებულებას და მეტი წესიერება შეიტანონ საქმის წარმოებაში. ყურადღება ღ წესიერება დიდად საჭიროა, თორემ ისეც აბლაკატების მსხვერპლად შეიქმნებიან გლეხნი და ბევრი მშიერი კუჭი გაძღება იმათის ნაშრომით. ნამეტნავად ყურადღების ღირსია თვით საბეგროდ გასაწვევ ყმაწვილ-კაცთა სიის შედგენა. ეს სიები სოფლის უვიც მწერლებზე არის მინაბრებული და სხვა ამას ყურს არავინ უდგებს. ესენიც, როგორც მოჰხვდებათ, ისე სახელ-და-ხელოთ შეთითხნიან სიებს და შეცდომებით აავსებენ ხოლმე. ეს კი აუარებელ საზრდოს აძლევს აბლაკატებს და სხვით ოფლით მარჩენელ შუა-კაცებს. ხალხი რწმუნდება, რომ ფულის შემწეობით შეიძლება სამხედრო ბეგრიდან თავის დახსნა და ამისათვის იყვლიფება ხოლმე. ეხლა თუ ამისთანა შემთხვევები არის ხოლმე, იმიტომ, რომ თითონ გლეხიც ყურს არ უგდებს თავის დროზე თავის თავს. მერე, რა ძვირად იწერება სამხედრო საკრებულოსათვის არზები: 50—200 მანეთამდის აღის ფასი და ისიც რამდენსამე კაცს აქვთ მონოპოლიათ გამხდარი. ყველა ამას რომ ბოლო მოეღოს, ქიზიყელები უფრო თავისუფლად ამოისუნთქავენ.

დიდ-გულა.

წერილი თელავიდან

წიგნთ-საცავის ახალ გამგის არჩევანი.—სახალხო კითხვების მოწყობა.—სეირნობა წიგნთ-საცავის სასარგებლოდ.

თელავის წიგნთ-საცავის გამგემ ზურაბ ანდრონიკაშვილმა გამგეობას თავი დაანება, რადგან იგი სამსახურისა გამო სიღნაღში გადაიყვანეს. ბ-ნი ანდრონიკაშვილი სულ ერთი წელიწადი არც კია, რაც განაგებს წიგნთ-საცავს, მაგრამ ეს ცოტა ხანიც საკმაო იყო, რომ ყველაფერი მოეგვარებინა. გამგეობის ახალ წევრად ამოსარჩევად 6 ივლისს კრება მოხდა. დაესწრო 20 წევრი. თავმჯდომარემ, ილია ზარაფიშვილმა, წინადადება

მისცა კრებას, დაუსახელებინა კანდიდატები. დასახელდნენ: ქ-ნი მატბერიშვილისა, ბ-ნნი გ. ჯღურჯიძე, გ. მაცაშვილი, გოგნიაშვილი და ს. გომაძე. ორი უკანასკნელი კრებაზე არ აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენთ უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე. ზოგიერთ დამსწრეთ განაცხადეს, რომ აღ. გოგნიაშვილი თანახმაა გამგეობის წევრობაზედ და ამისათვის არჩეულ იქმნა იგი გამგეობის წევრად.

კრებას, სხვათა შორის, დაესწრო ივანე როსტომაშვილი, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს დაბალ ხალხისთვის წიგნთ-საცავს. დასძინა, რომ წიგნთ-საცავმა უნდა შეიძინოს სახალხო წიგნები და კვირა-უქმეობით აძლიოს წასაკითხად; სასურველად სცნო იმათთვისვე კითხვების მოწყობა. ამ საგანზე ხანგრძლივი კამათი გაიმართა. ერთნი ამბობდნენ, რომ წიგნთ საცავს სახსარი არა აქვს წიგნების შეძენისათ, მეორეთ უპასუხეს, რომ თუნდ შეძლება ჰქონდეს, ამისთვის უნდა მიჰმართონ ზედამხედველებს, რომელთაც თავის მხრივ, სადაც ჯერ არს, უნდა წარადგინონ და ძნელია ნებართვის მიღებაო; სხვები ამტკიცებდნენ, რომ ისე ეხლა სახალხო კითხვების საქმე დაცენებული, რომ მოუხერხებელია გამართვაო. ბ-ნმა ქვანგულოვმა ურჩია კრებას სოფლისზიდის საზოგადოების დაარსება, რომელსაც ადვილად შეეძლება კითხვებისა და სხვა ამგვარ რისამე გამართვა ხელოსან ხალხისთვისო. ბ-ნმა როსტომაშვილმავე წარმოსთქვა აზრი სოფლებში წიგნების გავრცელების შესახებ და სხვა. საერთოდ ყველა ზემო ნათქვამი დამსწრეთ მოეწონეს და სასარგებლოდ სცნეს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ყველა აქ თქმული განხორციელებას ვერ ეღირსება. გ. ბარნოვმა სამართლიანად შენიშნა, რომ ეს ერთი წიგნთ-საცავი გვაქვს, რომელიც თუ უკან არა, წინ არ მიდის, ძლივს დონდიალებს, ჯერ ამას მოუაროთ, ფრთები შევასხათ და მერე სხვაზე ვიფიქროთო.

შემდეგ კრებამ დაავალა გამგეობას, მადლობა გამოუცხადოს იმათ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წიგნთ-საცავის სასარგებლოთ 3 ივლისს გამართულ წარმოდგენაში. ბოლოს ერ. სირბილაძემ განაცხადა, რადგან წიგნთ-საცავი ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, გავმართოთ ისეთი რამ, მაგ. სეირნობა, რომ კარგი შემოსავალი მოგვცეს. კრებამ მიიღო ეს წინადადება. იქვე დაასახელეს რამდენიმე კაცი და მიანდეს სეირნობის პროგრამის შემუშავება.

დიმიტრაშვილი

წერილი ბარის ოსეთიდან

მოსავალი.—სწავლა-განათლება.—ქურდობა.

წელს აქეთ კარგი მოსავალია. იმედი აქვთ, რომ შარშანდელ-დანაკლისს წლევანდელი მოსავალი შეუმსებს მცხოვრებთ. წელს გრილი ზაფხული დაგვიდგა. მთელი ივნისი გრილოდა. წვიმა თავს არ გვანებებს, ხანდახან მედიდურ კავკასიონის მთებს თოვლსაც მოაფრქვევს ხოლმე.

ოსები დიდის გატაცებით ეტანებიან სწავლა-განათლებას და არც ზოგავენ იმისთვის ხარჯს. მაგალითებრ: სოფ. ნებით-ქრისტიანში 1000 კომლი მცხოვრებია; ისე გაიტაცა სწავლის სურვილმა მცხოვრებნი, რომ სოფელი სამ უბნად გაიყო და სამივე უბანმა განიზრახა საკუთარი სკოლის შენობის აგება. ასეც მოიქცნენ და დაიწყეს კიდეც მშვენიერ გეგმაზე სასკოლო შენობები. საკვირველია, რომ ამ სოფელმა როგორც სწავლა-განათლებით, ისე ქურდობა-ავაზაკობით თითქმის ოსების ყველა სოფელს გადააჭარბა. ისე ღამე არ გაივლის, რომ აქ ქურდობა არ მოხდეს და მდევარი არ დაიძახონ. მამასახლისმა ბიდიანოვმა ერთის თვის განმავლობაში ათამდის ქურდი შეიპყრო. მღვდლების ცხენების პარვა ოსეთში თითქმის მოდათ შემოვიდა: სოფ. არიდონის მღვდელს ტოკაევს მოჰპარეს ორი მშვენიერი ცხენი, სოფ. მახჩისკის მღვდელს წერეთელს მოჰპარეს კარგი ცხენი (აგერ მესამეთ მოჰპარეს ამას), სოფ. სტირ-დიგორის მღვდელს ხხირტლაძეს მოჰპარეს ორი ცხენი. ამას წინად სოფ. სადუგარდნის მღვდელს ჯუთაგუროვს მოჰპარეს ორი ცხენი. სოფ. სანების მღვდელს ბასიევს მოჰპარეს ერთი ცხენი, სოფ. ხვერის მღვდელს დოცოევს მოჰპარეს ერთი ცხენი. ნებით-ქრისტიანის სოფლის მახლობლად რუსის სოფელი ნიკოლაევკაა. ამ სოფელშიაც ძლიერ არის გახშირებული ქურდობა.

ქართველი ოსებში.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივლისი.

ბელგრადი. რუსის მართლ-მადიდებელმა ბერებმა ძველ სერბიაში დეჩანის მონასტერი მიატოვეს. აქამდე ამ მონასტერს ეს რუსის ბერები განაგებდნენ.

ტოკიო. იაპონიის თვალ-საჩინო გაზეთები მშვიდობიან და ზომიერ კილოთი მსჯელობენ საქმის ვითარების შესახებ.

ვაშინგტონი. სრული საფუძველია ვიფიქროთ, რომ რედაქცია იმ ხელ-შეკრულებისა, რომელიც შეეხება ამერიკის საჭურჭლო უფლებებს მანჯურიაში, საბოლოოდ შემუშავებულია. თვით ხელ-შეკრულობა მზად იქმნება ხელის მოსაწერად 1 აგვისტომდე.

კონსტანტინეპოლი. 15 ივლისს ზინოვიევი სადილად მიიწვიეს ილდიზ-კიოსკში, შემდეგ სულთანმა აუდიენციაზე მიიღო. შაბათს ზინოვიევი შესასვენებლად მიდის და სამსახურს დროებით თავს ანებებს.—ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ფლოტის შესახებ საქმეების უკეთ მოსაწყობად საზღვაო სამინისტროს საადმინისტრაციო და სამხედრო ნაწილებს ერთმანერთს განაშორებენ. ამ მოსაზრებით ჯელალ-ბეი დაინიშნა საზღვაო მინისტრად. იმას მიენდო საადმინისტრაციო გამგეობა ფლოტისა და ინსპექცია; სამხედრო ნაწილი მიენდო ვიცე-ადმირალს მეჰმედ-რიფათ-ფაშას, რომელიც ამავე დროს მთავარ-საზღვაო შტაბის უფროსადაც დაინიშნა.

დამასკი. სარწმუნოდ გაიგეს, რომ 6 კაცი, პოლიტიკურ დანაშაულისათვის გაგზავნილი, იმათ შორის ცნობილი ქურდების სარდალი მუსა-ბეი, ამას წინად მედინიდან გაიქცნენო. ამ ამბავმა ილდიზ-კიოსკში დიდი შიში გამოიწვია. მედინის გუბერნატორი დაუყოვნებლივ დაითხოვეს. მოწერილობა გაგზავნეს, გაქცეულთა დასაჭერად სასტიკი ღონისძიება მიიღეთო.

პარიზი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ გუშინ პაპის გარდაცვალების გამო გადახდილ წირვას კომბის წარმომადგენელი არ დასწრებიაო.—„ფიგარო“ სწერს: მთელს ევროპაში მარტოდ მარტო საფრანგეთის მთავრობა დგას განზე და წინააღმდეგია, რომ პაპს პატივისცემა გაუწიონ. რადიკალური გაზეთები აღნიშნავენ, ამ ამბავმა გამოაჩინა, რომ ეხლანდელ კაბინეთის წევრთა შუა დიდი უთანხმოება ყოფილა: დელკასე და ანდრე ერთის მიმართულებისანი ყოფილან, ესენი თითონ დაესწრნენ წირვას; რუვიე და ჟულიეც ამავე მიმართულებისანი ყოფილან; ამათაც თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს წირვაზე; მეორე მიმართულების მიმდევარნი არიან: კომბი, ვალე, პელტანი, დუმერგი და ტრულიო.

რიაზანი. ნაშუადღევის 4 ს. 45 წ. ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფლები, დიდი მთავრები და დიდის მთავრის მეუღლენი სარატოვში წაბრძანდნენ.

საროვი. იმ ტაძარში, სადაც წმინდა სერაფიმეს ნაწილი ასვენია, ნაწილის გახსნამდე არავის უშვებენ. ტაძრის კარებთან ბნელიანების საშინელი ყვირილი ისმის. როცა ტაძარს უახლოვდებიან, ბნელიანები იკრუნჩხებიან, ძირს ეცემიან და ადგილიდან ვეღარ იძვრიან; მერე-კი თითონვე დგებიან, ტაძარს უახლოვდებიან, კარებს ემთხვევიან, წმ. სერაფიმეს განკურნებას ევედრებიან და, როგორც ეტყობა, მშვიდდებიან. წმ. სერაფიმეს წყაროსთან მრავალი სასწაული ხდება: მრავალი კაცი რჩება სატკივრისაგან, ყოვლად სამღვდელო ნაზარი ამბობს: ბრმებს თვალში სინათლე უბრუნდებათ და კოჭლები სიარულს იწყებენო. ყველა სასწაული ინუსხება. წყაროსთან დიდ-ძალი სნეული ხალხია შეგროვილი, ყველანი განკურნებას ელიან.

არზამასი. შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრები მოვიდნენ აქა. აქვე იკრიბება მთელის ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის თავად-აზნაურობა საგუბერნიო წინამძღოლის ნეიდგარტის მეთაურობით.

17 ივლისი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატის მიმართ: „რადგანაც მთავრობის ზრუნვას, რომელიც მიწის კრედიტს შეეხება, დიდი გავლენა აქვს მიწათ-მოქმედებაზე და ხალხის მეურნეობაზე, მთელ სახელმწიფოსათვის აქვს მნიშვნელობა და უნდა ყოველთვის ეთანხმებოდნენ ამ წლის 26 თებერვალში გამოქვეყნებულ ჩვენს წინა დაწყებულებას და სახელმწიფოს საჭიროებებს და სარგებლობას, ამისათვის ჩვენ საჭიროდ ვსცანით დაგვეარსებინა საგანგებო კომიტეტი მიწის კრედიტის საქმისათვის შემდეგის პირობებით: 1) მიწის კრედიტის კომიტეტს თავმჯდომარეობს სათანადო კომიტეტის თავმჯდომარე; კომიტეტის წევრები არიან: მინისტრები: შინაგან საქმეთა, ფინანსთა, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, სახელმწიფო კონტროლერი და სხვა ჩვენგან არჩეული წევრები. 2) კომიტეტმა უნდა განიხილოს კითხვები, რომელნიც შეეხება მიწის საკრედიტო დაწესებულებების საზოგადო მიმართულებას, და ის კითხვები, რომელნიც შეტანილ იქმნებიან უმაღლესის ბრძანებით, თვით კომიტეტის გადაწყვეტილებით და კომიტეტის წევრ-მინისტრების წინადადებით. 3) წლიური ანგარიშები სახელმწიფო სააზნაურო და საგლეხო ბანკებისა უნდა ფინანსთა მინისტრის მიერ წარედგინებოდნენ კომიტეტს განსახილველად, რომ ამ დაწესებულებებმა სახელმწიფოსათვის სასარგებლო მიმართულება მიიღონ. 4) კომიტეტის დადგენილება თავმჯდომარემ უნდა ჩვენ წარმოგვიდგინოს კეთილ-განსახილველად, რომ ჩვენის ბრძანებისამებრ შესწორდეს, უმართებულესი სენატი განკარგულებას მოახდენს ამ ბრძანების შესასრულებლად“. ნამდვილზე მისს იმპერატორებით უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია: „ნიკოლოზი“.

პეტერგოფი. 11 ივლისს ხელმწიფე-იმპერატორმა გულითადი მონაწილეობა მიიღო საოცრად ადიდებულ მდინარე ვისლასაგან ვისლის მხრის დაზარალებულთა საქმეში და უმაღლესად ინება გაეგზავნოს თავადი ობოლენსკი უფრო დაზარალებულ ადგილებში, რომ მისის უდიდებულესობის სახელით მცხოვრებთ დაურიგოს 200,000 მანეთი.

ბუხარესტი. ვოლოკლაში მყოფ მე-18-ე ქვეითა რაზმის დეპუტაცია, რომელიც თავის შეფის მეფე კარლოსის მისალოცავად მიდის და თან ალბომი და საიუბილეო მედალი მიაქვს, მოვიდა საზღვარზე, სადაც რუმინიის აფიცრები მიეგებნენ. სამხედრო საკრებულოში სადილობის შემდეგ დეპუტაცია სინაიში წავიდა და დღეს მივიდა. ორის დღის შემდეგ გაემართება ბუხარესტისაკენ, რომ იქაური სამხედრო დაწესებულებანი დაათვალიეროს. ბუხარესტის გარნიზონის აფიცრები გამართავენ ბანკეტს რუსეთელ სტუმრების პატივსაცემლად, მერე დეპუტაცია სხვა რაზმებს ინახულებს და დაბრუნდება რუსეთს.

ბუდაპეშტი. დღეს, როდესაც მინისტრ-პრეზიდენტს უნდოდა დეპუტატების პალატაში წინადადება შეეტანა იმის შესახებ, რომ პალატამ შესწყვიტოს თავის პროგრამის განხილვა და დაჯილდოების შესახებ კანონ-პროექტის განხილვას შეუდგესო, ობსტრუქციამ მორთო საშინელი ყვირილი, რომელმაც 1/4 საათს გასტანა. ვიცე-პრეზიდენტი იძულებული გახდა კრება შეეწყვიტა. კრება რომ განახლდა, მინისტრ-პრეზიდენტი ხელახლად ფეხზე წამოდგა; ისევ საშინელი ხმაურობა ასტყდა. მინისტრი 10 წამი ფეხზე იდგა და სიტყვის ნებას თხოულობდა. მერე მდივანს უბრძანა, წერილობითი წინადადება წარადგინეო. ობსტრუქცია ამაოდ ცდილობს მდივანს დაუშალოს და ხელიდან გამოსტაცოს კანონ პროექტი. კრება დიდის აღელვების გამო შესწყდა.

ბუდაპეშტი. პალატის სხდომა ისევ დაიწყო. ამბობენ, ბევრი ორატორი ობსტრუქციის მომხრეაო. თუმც კრება 10 საათი გაგრძელდა, მაგრამ დეპუტატები დაღალვას არ იმჩნევენ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ

„მოგზაურის“

რედაქციაში იყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ფასი 5 კაპ.
2. ყელ-ჭირება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კაპ.
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფასი 5 კაპ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფასი 5 კაპ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონიურის წესით, ფასი 7 კაპ.
7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფასი 5 კაპ.
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფასი 5 კაპ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კაპ.
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით? ფ. 5 კ.
12. „მურია“, საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, 5 კაპ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კაპ,
14. სულით ავადმყოფი მოსწავლენი, ფ. 5.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფასი 7 კაპ.
16. მეფე ლამზა, საყმაწვილო და მოზრდილთათვის მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კაპ.
17. საუნჯე ავადმყოფისა ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობათა, ფ. 15 კაპ.
18. საუნჯე მეურნისა ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება-გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქებისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კაპ.
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კაპ.
20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.
21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კაპ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კაპ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კაპ.
24. დროა გონს მოვიდეთ! ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კაპ.
25. მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ციყვუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი. ფ. 10 კ.
27. ლიჰნარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კაპ.
28. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კაპ.
29. შიო-თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კ.
30. როგორ ცხოვრობენ ჩინელები, ფ. 10 კ.
31. ცხენის წურბელა, მოთხრობა, ფ. 10 კ.
32. მაჰმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კაპ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კაპ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ. 10 კ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, სურათებით, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის საკვებ ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კაპ.
39. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფ. 5 კაპ.
41. ალბომი „ქართველთა ტომი“, ასი მეტი სურათით, 70 კაპ.
42. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ან მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხურდა ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯათაც სამ-სამი კაპეიკი წამატოს თვითეულ დაბარებულ წიგნზე.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-სავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ. (10—3)

ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის

შავის-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 19 ივლისს, 12 საათზე, საბჭოს სადგომში, ქუთაისს, მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიცემა შესაკეთებლად „კილოვარტის“ სამრეწველო გზა-ტკეცილის გაკეთება სოფელ ჭიათურაში, სიგრძით 822 საჟ. სამუშაო 14000 მანეთისაა.

ვისაც ვაჭრობა ჰსურს, იმან საბჭოს კასსაში ვაჭრობამდე უნდა შეიტანოს 500 მანეთი ნაღდ ფულად ან სახელმწიფოს მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით. (1—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მთის უბანში ხიდის პირას ალექსანდრე [illegible] [illegible] ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—152)

Дозв. ценз. Тифлисъ, 17 Іюля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)